ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2240775

ნომერი: AR1347398

თარიღი : 06.10.2015

გაცემის თარიღი : 13.10.2015

გაცნობის თარიღი : 13.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 263 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ ბაღათურია პ/ნ 01008022487
- მცხეთის ქ.#1/ზ.27

ორგანიზაცია:

- მაგთიკომი კოდი: 204876606

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: სამსახურში შემოსულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის N3052179 09.07.2015 წლის წერილი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილი სარეკონსტრუქციო სამუშაოები უკვე ნაწარმოებია. შესაბამისად `მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და საჭიროების შემთხვევაში დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდგომ.

ზემოაღნიშნულის განხორციელების შემდეგ ასევე გაითვალისწინეთ: საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასალა არასრულია და არის გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ) კერძოდ:

1.მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი: დაფიქსირებულ ინფორმაციასთან ერთად უნდა დააფიქსიროთ, რომ საპროექტო დავალებით ასევე გათვალისწინებულია ორი კონტეინერის განთავსება. ასევე საჭიროა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და თქვენ მიერ შერჩეულ ნომენკლატურასთან ერთად დამატებით აირჩიოთ "დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა–ნაგებობა – ქმედება – ახალი მშენებლობა".

2.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოდგენილ იქნას დღეის მდგომარეობით არსებული სიტუაციის ფოტოსურათები, აპარატის მიერ დაფიქსირებული დათარიღებით.

3.ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : წარმოდგენილ იქნას ზემოაღინშნულ განახლებულ ფოტოსურათებზე დამუშავებული ფოტომონტაჟი/ები.

4. წარმოდგენილი ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმდა 2012 წლის 1 იანვარს და მოქმედების ვადა განისაზღრა 3 წლით (მუხლი 2). ვინაიდან, დღეის მდგომარეობით ხელშეკრულების ვადა გასულია, წარმოდგენილ უნდა იქნას ვადასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმება და მესაკუთრის თანხმობა მიწის ნაკვეთზე კონტეინერების განთავსებასთან დაკავშირებით (ხელშეკრულებით გათვლისწინებულია დამქირავებლის მიერ სახურავზე ანტენისა და შენობაში ოთახების განთავსების უფლება) ან წარმოდგენილ უნდა იქნას მხარეებს შორის გაფორმებული ახალი ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსარგებლის უფლება, როგორც ანტენის მოწყობასთან დაკავშირებით, ისე მიწის ნაკვეთზე კონტეინერების განთავსებასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 30 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.